ნანული შეყლაშვილი, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა

საგანი: მე და საზოგადოება

დაწყებითი საფეხური: III-IV კლასი

თემა: ჩემი ოჯახი.

საკითხი/საკითხთა კლასტერი: 1. როგორ ვიყენებთ ფულს.

2. ბიუჯეტი.

3. დაზოგვა ჩვენს სახლში.

სტანდარტი „მე და საზოგადოება“ (III-IVკლასი)

მიმართულება: 2**.ინიციატივა და მეწარმეობა.**

საზ.მეც.დაწყ(1) 6 საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება.რესურსების დაგეგმვა და დაზოგვა.

საზ.მეც.დაწყ.(1)8 ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.

მიზანი:

- მოსწავლემ ისწავლოს რა არის ფული და როგორ ვიყენებთ ფულს?
- როგორ ხარჯოს ფული პასუხისმგებლიანად.
- როგორ მოახდინოს ფულის გადანაწილება.
- რა არის დაზოგვა და რა სარგებელი მოაქვს დაზოგვას.
- რა არის ბიუჯეტი და რატომ უნდა გვქონდეს პირადი ბიუჯეტი.

გაკვეთილი 1. საკითხი - რა არის ფული და როგორ ვიყენებთ ფულს

აქტივობა 1. გონებრივი იერიში.

მასწავლებელი საკლასო მენეჯმენტის შემდეგ იღებს კანფეტებს“ შოკოლადი მონეტების“ ყულაბიდან ერთ მონეტას და მიმართავს კლასს, რა არის ეს ოქროსფერი წრე. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, რომელიც იწერება დაფაზე და სწორი პასუხის შემდეგ მასწავლებელი ხსნის თემას - ფული, აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს, განმარტავს ფულის მნიშვნელობას და მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ აქტივობას.

აქტივობა 2. რისთვის ვიყენებთ ფულს.

მოსწავლეებს ურიგდებათ ფერადი ფურცლები, სადაც წერილობით აფიქსირებენ კითხვაზე პასუხს, მიაქვთ დაფაზე და აწებებენ ფლიპჩარტზე. მეორე პლიფჩარტზე მასწავლებელს მომზადებული აქვს სამი კონვერტი: წითელი - დახარჯვა. ყვითელი - დაზოგვა. მწვანე - გაცემა. მოსწავლეთა პასუხებს ვაჯგუფებთ და ვანაწილებთ კონვერტებში.

აქტივობის მიზანია: მოსწავლემ გაიგოს და გაიაზროს რომ ფულს ვიყენებთ სამგვარად: დახარჯვა, დაზოგვა, გაცემა.

აქტივობა 3. მოსწავლეებს ვთავაზობთ სიტუაციას - რას გააკეთებდი 30 ლარი რომ გქონდეს?

წარმოიდგინე რომ მშობლებმა 30 ლარი მოგცეს (ესეიგი შენი ბიუჯეტი შეადგენს 30 ლარს) და შეგიძლია მისი სრულად გამოყენება. მოიფიქრე როგორ გამოიყენებ ბიუჯეტს ისე, რომ გაითვალისწინო - ფულის სამგვარად გამოყენება შეგვიძლია (აქტივობა 1). გამოიყენე შენი ფული სამივე კონვერტის შესავსებად. აიღე თაბახის ფურცელი, გაყავი სამ ნაწილად. თითოეულ ნაწილს დაარქვი დახარჯვა, დაზოგვა და გაცემა. 30 ლარიდან რამდენს დახარჯავ, რას იყიდი, რამდენს დაზოგავ და რამდენს გასცემ სხვის დასახმარებლად - დაწერე და დაასაბუთე საკუთარი გადაწყვეტილება.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ქაღალდზე ამობეჭდილ ქართული ლარის 5, 10 და 20 ლარიან კუპიურებს. მოსწავლე თავად ირჩევს რომელი კუპიურებისგან შეადგინოს ნაჩუქარი 30 ლარით თანხა აქტივობისთვის.

აქტივობის მიზანი: მოსწავლემ გაიგოს და გააცნობიეროს როგორ ხარჯოს ფული პასუხისმგებლიანად პრაქტიკული მაგალითით.

აქტივობა 4. ინდივიდუალური პრეზენტაცია.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში საპრეზენტაციო უნარების განვითარება.

აქტივობა 5. საშინაო დავალების ინსტრუქცია.

მოსწავლეებს ეძლევათ მესამე კლასის საგან - მე და საზოგადოების სახელმძღვანელოში (ავტორი: ნინო ტალახაძე) მოცემული ტექსტი: რა არის ფული (გვ 72-73). მათ უნდა დაამუშაონ ტექსტი.

აქტივობა 6. გაკვეთილის შეფასება. რუბრიკის შევსება. დანართი 1.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს „შოკოლად მონეტებს“.

რეკომენდაცია ფასილიტატორისთვის: გაკვეთილი გათვლილია ერთ 45 წუთიან საგაკვეთილო დროდ. თუმცა მასწავლებელს შეუძლია აქტივობები გადაანაწილოს ორ საგაკვეთილო დროზე და მოარგოს საკუთარი მოსწავლეების საჭიროებებს. აქტივობებისთვის წინასწარ უნდა მოამზადოთ რესურსები, ამით დაზოგავთ დროს. რაც შეეხება შოკოლადის კანფეტებს - „შოკოლად-მონეტები“ მის შეძენას შეძლებთ სუპერმარკეტში. კანფეტები მოთავსებულია გამჭირვალე ყუთში, რომლის გამოყენება ყულაბადაც შეიძლება. გაკვეთილის გეგმის შედგენისას გავითვალისწინე სწავლა-სწავლების ხუთი ძირითადი პრინციპი. ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობები ვფიქრობ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, კონსტრუირებულად, წინარე ცოდნაზე დაშენებით მოსწავლე შეძლებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მრავალფეროვანი აქტივობები მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე - (დეკლარატიული,პირობისეული და პროცედურული). არ მაქვს სსსმ მოსწავლის აქტივობა ,ვინაიდან კონკრეტულ კლასში ამის საჭიროება არ არსებობს. თუმცა ნებისმიერი აქტივობის მოდიფიცირება შესაძლებელია კონკრეტულ მოსწავლის საჭიროებებზე.

რაც შეეხება **რესურსებს** დაგვჭირდება:

- ორი პლიფჩარტის ქაღალდი,
- წებოვანი ლენტი, მაკრატელი, ფერადი ფურცლები, მარკერები,

- ქართული ლარის ქაღალდის 5,10,20 ლარიანი კუპიურების ქსეროასლები, (სასურველია ფერადი),
- გაკვეთილის შეფასების რუბრიკა თითეული მოსწავლისთვის,
- სახელმძღვანელო მე და საზოგადოება მესამე კლასი. გამომცემლობა „სიდი“.

დანართი 1.შეფასების რუბრიკა.

მოსწავლის სახელი და გვარი.----------თარიღი

კრიტერიუმები.	სრულად.	ნაწილობრივ.
გაკვეთილი იყო საინტერესო,სახალისო და ადვილად გასაგები ჩემთვის.		
მასწავლებლის დაგეგმილმა აქტივობებმა გამიადვილა საკითხის გაგება		
შევინარჩუნე ინტერესი მთელი გაკვეთილის მანზილზე		
ვიცავდი გაკვეთილის წესებს,ვუსმენდი სხვებს და წინასწარ ვალაგებდი გამოსათქმელ აზრს.		
გავიგე რა არის ფული,რატომ უნდა დავზოგო ფული და როგორ გავანაწილო ის გონივრულად.		

გაკვეთილი 2. საკითხი - დაზოგვა.

მიზანი:

- მოსწავლეები ისწავლიან, რომ ადამიანები სხვადასხვა მიზნებისთვის ინახავენ ფულს.
- გააცნობიერებენ რომ დაზოგვა გვეხმარება მოულოდნელი ფინანსური რისკების გამკლავებაში.
- მიიღებენ გონივრულ გადაწყვეტილებებს დაზოგვის მნიშვნელობაზე და ჩამოუყალიბდებათ სწორი დამოკიდებულება დაზოგვისთვის თავის არიდების შესაძლო უარყოფით შედეგებზე.

აქტივობა 1.გონებრივი იერიში. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის გააზრება.

- როგორ ვიყენებთ ფულს?
- რა არის დაგროვება? ყულაბა?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გამოცანას: “უფეხოა,მაგრამ დადის, მისი ძალა ყველგან გადის“ - რა არის? მოსწავლეთა პასუხებიდან აუცილებლად იქნება სწორი პასუხი - ფული. ან მასწავლებელი მიიყვანს მათ მინიშნებებით სწორ პასუხამდე.

აქტივობა 2 . თამაში ბურთით: რატომ ვზოგავთ?

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს წინა გაკვეთილზე ნაჩუქარი 30 ლარის განაწილების შესახებ განხორციელებულ აქტივობას და ყურადღებას გაამახვილებს დაზოგვაზე.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დადგნენ წრეზე, თავად პირველი ამბობს რატომ, რისთვის ზოგავს ფულს და ბურთს გადასცემს მოსწავლეს, მან უნდა დაასახელოს რისთვის დაუზოგავს ფული და შემდეგ გადასცეს სხვა მოსწავლეს, ყველა მოსწავლე რომ დაასახელებს რისთვის ზოგავს თანხას, აქტივობა დასრულდება, მოსწავლეები უბრუნდებიან თავიანთ მერხებს.

აქტივობა3. რისთვის ვზოგავთ?

მასწავლებელს დაფაზე მოთავსებული აქვს სამი სხვადასხვა ფერის წრე:

1. წითელი - ფული ყოველდღიური ხარჯებისთვის.
2. ლურჯი - დანაზოგი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის.
3. მწვანე - დანაზოგი გრძელვადიანი მიზნებისთვის.

მოსწავლეებმა თავიანთი მოსაზრებები რისთვის ზოგავენ/დაუზოგავთ ფული უნდა დაწერონ და დაალაგონ შესაბამის ფერ წრეში. თუ აღმოჩნდება რომ არ ახსოვთ, შეუძლიათ ხელახლად დააფიქსირონ და ისე მოათავსონ წრეში.

აქტივობების მიზანია: მოსწავლეებმა შეაჯამონ გაჟღერებული პასუხები, გაიაზრონ დაზოგვის მნიშვნელობა ყოველდღიური, გაუთვალისწინებელი და გრძელვადიანი მიზნებისთვის.

აქტივობა 4. სიტუაციების განხილვა ჯგუფში-პრეზენტაცია.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ყულაბას, რომლიდანაც მოსწავლეები ამოიღებენ სხვადასხვა ფერის მძივებს და დაჯგუფდებიან ფერების მიხედვით. შეიქმნება 3 ჯგუფი. ჯგუფებს დაურიგდება წინასწარ ფურცელზე ამობეჭდილი სიტუაციები.

1-ელი ჯგუფი. ლუკას ყულაბაში 40 ლარი აქვს. ისე მოუნდა ტკბილეული, რომ ჩაირბინა მაღაზიაში და ამდენი ხნის ნაგროვები ფულით ტკბილეული და გაზიანი სასმელები იყიდა.

გააანალიზეთ ლუკას საქციელი, არის თუ არა მისი ქმედება გონივრული ფულთან მიმართებაში?

მე-2 ჯგუფი. გიგა ფულს ყულაბაში აგროვებს, მას ძალიან უნდა ველოსიპედის ყიდვა. ფულს მისი დაც აგროვებს, მას კინოს ბილეთები უნდა შეიძინოს და ფილმს მეგობართან ერთად დაესწროს.

გააანალიზეთ და-ძმის დამოკიდებულება ფულის მიმართ.

მე-3 ჯგუფი. ბარბარე დედას მაღაზიაში გაჰყვა. დედამ საყიდლების სია მას ჩააბარა. როცა ზეთის დახლთან მივიდა, დაფიქრდა რომელი აერჩია - ორ ლიტრიანი ზეთი 7 ლარად თუ ერთ ლიტრიანი 4 ლარად. რას ურჩევდით ბარბარეს? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

ნანული შეყლაშვილი, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისის საჯარო სკოლა

აქტივობა 5. გაკვეთილის შეჯამება-რეფლექსია. დაასრულე წინადადება.

დაზოგვა მნიშვნელოვანია იმიტომ რომ .....

ყოველდღიური ხარჯები უნდა შევამცირო .....

გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის ფული .....

გონივრული ხარჯვა .....

ფულის გარდა შემიძლია დავზოგო.....

აქტივობა 6.საშინაო დავალების ინსტრუქცია.

გაეცანით მე და საზოგადოების სახელმძღვანელოში საკითხს ბიუჯეტი. გვ74-75

რეკომენდაცია ფასილიტატორისთვის. გაკვეთილის მიზანი დაწერეთ ფლიპჩართის ფურცელზე და გააკარით თვალსაჩინო ადგილზე რათა მოსწავლეებმა თავად შეძლონ გაკვეთილის მიზანზე კონცენტრირება და შევახსენოთ ასევე აქტივობების მიმდინარეობისას. ფლიპჩართზე წინასწარ დახატეთ სამი წრე: ყოველდღიური ხარჯები, გრძელვადიანი მიზნების და გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის. სიტუაციების ბარათი ამობეჭდეთ და ჯგუფები შექმენით წინა გაკვეთილზე გამოყენებულ ყულაბაში მოთავსებული ფერადი მძივებით.

სასურველია არ ჩამოხსნათ კედლიდან წინა გაკვეთილზე გამოყენებული და შექმნილი რესურსები ეს დაგეხმარებათ მოსწავლეთა ცოდნის გამთლიანებაში. მოსწავლეები შეძლებენ ცოდნის კონსტრუირებას.

გაკვეთილი 3. ბიუჯეტი

მიზანი: მოსწავლემ ისწავლოს რა არის ბიუჯეტი და რატომ უნდა ქონდეს პირადი ბიუჯეტი. შეძლებს შეადგინოს პირადი ბიუჯეტი.

აქტივობა 1. „რჩევები პირადი ბიუჯეტისათვის“

მასწავლებელი კითხვა პასუხით გამოიკითხავს საშინაო დავალების საკითხს - ბიუჯეტი. წინასწარ მომზადებული სასწავლო რესურსის: **„რჩევები პირადი ბიუჯეტისათვის“** გამოყენებით მოსწავლეებთან ერთად ინტერაქციული მეთოდით განიხილავს თითეულ რჩევას.

ბ ი უ ჯ ე ტ ი - ცხრილი რომელიც წარმოაჩენს ყველა იმ შემოსავალსა და ხარჯს, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (1კვირაში,1 თვეში) გვეკუთვნის. ბიუჯეტს ადგენენ როგორც ადამიანები ასევე კომპანიები და სახელმიფო ორგანიზაციები. დაიმახსოვრე, ბიუჯეტის შედგენა ნიშნავს არა ზედმეტ მომჭირნეობას არამედ პირადი ფინანსების გონივრულ მართვას.

რჩევა 1. დაისახე ფინანსური მიზნები.

ფინანსური მიზანი უნდა იყოს მიღწევადი, კონკრეტული და დროში გონივრულად გაწერილი. ჩამოწერე ქვემოთ ცხრილში შენი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები.

ცხრილი 1. ჩემი მიზნები

მოკლევადიანი	გრძელვადიანი
მთლიანი შემოსავალი	

რჩევა 2. გამოთვალე ყოველთვიური შემოსავალი.

რჩევა 3.განსაზღვრე რამდენს შეადგენს შენი ყოველთვიური ხარჯები.

რჩევა 4.გამოთვალე სხვაობა შემოსავალსა და ხარჯებს შორის.

ცხრილში 2. ჩამოწერე თვის განმავლობაში არსებული თანხები. მთლიან შემოსავალს გამოაკელი მთლიანი ხარჯი. ნაშთი შეგიძლია დანაზოგის სახით გადადო.

ცხრილი 2.

შემოსავალი	თანხა

ცხრილი 3. ჩამოწერე თვის განმავლობაში არსებული ყველა ხარჯი.

ხარჯი.	თანხა
საკვები.	
საკანცელარიო ნივთები.	
გართობა	
მთლიანი ხარჯი.	

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებმა პრაქტიკული მაგალითით ისწავლონ შემოსავლებისა და ხარჯების გონივრულად გადაანაწილება ბიუჯეტის დაეხმარებით.

აქტივობა 2. ნასწავლი მასალის შეჯამება. გამამხნევებელი თამაში- სიტყვაბურთი.

მოსწავლეებს ვთხოვთ მოეწყონ წრეზე და იფიქრონ, გონებაში გაიხსენონ ყველა ის სიტყვა რომელიც მათ გაკვეთილების დროს გაიგეს და დაკავშირებულია ფინანსურ განათლებასთან. მასწავლებელი ამბობს ერთ კონკრეტულ სიტყვას და ბურთს გადასცემს მოსწავლეს რომელმაც უნდა დაასახელოს მისთვის ნასწავლი ერთი სიტყვა, შემდეგ სხვა მოსწავლეს გადაუგდებს ბურთს სიტყვაბურთისთვის და ასე გაგრძელდება მანამ სანამ სიტყვები არ ამოეწურებათ.

აქტივობის მიზანია: სიტყვაბურთის თამაშ-თამაშით მოსწავლეებმა განიმტკიცონ სიტყვები: ბანკი, ფული, დაზოგვა, გრძელვადიანი მიზნები, ხარჯები, ფინანსური პრობლემები, დაგროვება, ყულაბა და ა.შ. დამახსოვრება.

აქტივობა 3.საშინაო დავალება ბიუჯეტის შედგენა.

გამოკითხე შენი ოჯახის წევრები, ჩაიწერე რისი დაზოგვა უწევთ თითეულ მათგანს და დაეხმარე მათ პირადი ბიუჯეტის შედგენაში. დავალება წარმოადგინე კლასში და დაასაბუთე შედგენილი ბიუჯეტის მიზნობრიობა.

რეკომენდაცია ფასილიტატორისთვის. გაკვეთილზე გამოსაყენებელი რესურსი „რჩევები პირადი ბიუჯეტისთვის“, ცხრილი 1. ცხრილი 2 და ცხრილი 3. აღებულია „ფინანსური განათლების სახელმძღვანელო“ - დან რომელიც გადმოგვეცა მე დ ჩემს მოსწავლეებს ფინედუს ჯგუფისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებულ პროექტ “მოიწვიე ფინედუ კლასში“ მონაწილეობისათვის. რომელიც დაბეჭდილია EFSE მხარდაჭერით.

აქტივობა „სიტყვაბუთი“ დეტალურადაა აღწერილი და მისი გამოყენება ადვილია, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა საგანშიც. ფოტო რესურსებად გამოიყენეთ სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ფოტოები “ოჯახის ხარჯები“ გვ 74. სახელმძღვანელო მე და საზოგადოება მესამე კლასი. გამომცემლობა „სიდი“.

გაკვეთილები შეგიძლიათ ჩაატაროთ როგორც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კურიკულუმის, ასევე #მსოფლიოდაზოგვისდღის31ოქტომბერი. 2023ს ფარგლებში თავისუფალი გაკვეთილების სახით. შეგიძლიათ შექმნათ ფინანსური განათლების წრე.